Subsequent to the reporting date, as of the date of these financial statements are authorized for issue, the Company received from its fully owned subsidiary Mars LLC dividends of GEL 84,357 thousand, out of which GEL 84,500 thousand were declared during 2025, while the rest were receivables outstanding as at 31 December 2024 in amount of GEL 3,500 thousand.

(b) Loans and borrowings

Subsequent to the reporting date, as of the date of these financial statements are authorized for issue, the Company repaid loan principal of GEL 59,500 thousand (see notes 12 and 17).

(c) Updates in laws and regulations

In 2024, the Georgian Parliament approved changes in gambling regulations which constituted increase of taxes. The tax changes came into force on 1 January 2025:

- 5% increase in tax on Gross Gaming Revenue (GGR) as defined by the Tax Code of Georgia (increase from existing 15% GGR tax to 20%).

შპს „ენთეინ ჯორჯია“

2024 წლის
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ენთეინ ჯორჯიას“ მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ენთეინ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშებზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშებს.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშების გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშები არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშების შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის და კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი და კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"
31 მაისი 2025 წელი

		ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	9	7,931	3,801	32	42
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	10	-	-	698,401	698,401
აქტივი გამოყენების უფლებით		1,616	1,517	-	-
არამატერიალური აქტივები		75	204	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**9,622**	**5,522**	**698,433**	**698,443**
მოკლევადიანი აქტივები					
გაცემული ავანსები	16	9,675	14,512	-	-
მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ		10,484	10,446	-	-
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები		258	158	-	-
მარაგები		20	191	-	-
მისაღები დივიდენდები		-	-	3,500	207
სხვა მოთხოვნები		137	255	2,364	2,801
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	32,892	24,024	3,074	1,573
სულ მოკლევადიანი აქტივები		**53,466**	**49,586**	**8,938**	**4,581**
სულ აქტივები		**63,088**	**55,108**	**707,371**	**703,024**
კაპიტალი	15				
განთავსებული კაპიტალი		299	299	299	299
შერწყმის რეზერვი		(698,401)	(698,401)	-	-
გაუნაწილებელი მოგება		365,019	236,264	341,530	207,140
სულ კაპიტალი		**(333,083)**	**(461,838)**	**341,829**	**207,439**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება		899	1,061	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**899**	**1,061**	**-**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	12	362,493	492,993	362,493	492,993
მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	13	13,570	6,330	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	15,648	11,889	3,049	2,592
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	7(b)	2,683	4,183	-	-
საიჯარო ვალდებულება		878	490	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**395,272**	**515,885**	**365,542**	**495,585**
სულ ვალდებულებები		**396,171**	**516,946**	**365,542**	**495,585**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**63,088**	**55,108**	**707,371**	**703,024**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია გვერდებზე 10-41.

		ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	**შენიშვნა**	**2024**	**2023**	**2024**	**2023**
შემოსავალი	**5**	**504,511**	**448,597**	**9,064**	**8,064**
სხვა შემოსავალი		387	254	1	8
შემოსავალი დივიდენდებიდან	15	-	-	212,000	242,008
საოპერაციო ხარჯები	6	(268,731)	(217,403)	(9,115)	(8,057)
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(29,324)	(25,588)	(675)	(850)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,268)	(2,540)	(10)	(7)
სხვა ხარჯები		-	(2,621)	-	(2,621)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**203,575**	**200,699**	**211,265**	**238,545**
ფინანსური შემოსავალი		2,605	4,939	210	423
ფინანსური ხარჯები		(49,853)	(65,569)	(49,585)	(65,495)
წმინდა ფინანსური ხარჯები	**8**	**(47,248)**	**(60,630)**	**(49,375)**	**(65,072)**
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**156,327**	**140,069**	**161,890**	**173,473**
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(4,197)	(5,905)	(4,125)	(5,894)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**152,130**	**134,164**	**157,765**	**167,579**

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 მაისს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელს აწერს:

ჯაბა პეიტრიშვილი
დირექტორი

ირაკლი ხვედელიანი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი

'000 ლარი	**განთავსებული კაპიტალი**	**შერწყმის რეზერვი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	299	(698,401)	135,499	(562,603)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება	-	-	134,164	134,164
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან				
დივიდენდები (შენიშვნა 15)	-	-	(33,399)	(33,399)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**-**	**-**	(33,399)	(33,399)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**299**	**(698,401)**	**236,264**	**(461,838)**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	299	(698,401)	236,264	(461,838)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება	-	-	152,130	152,130
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან				
დივიდენდები (შენიშვნა 15)	-	-	(23,375)	(23,375)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**-**	**-**	**(23,375)**	**(23,375)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**299**	**(698,401)**	**365,019**	**(333,083)**

კომპანია

'000 ლარი	**განთავსებული კაპიტალი**	**შერწყმის რეზერვი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	299	-	72,960	73,259
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
პერიოდის მოგება	-	-	167,579	167,579
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან				
დივიდენდები			(33,399)	(33,399)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**-**	**-**	(33,399)	(33,399)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**299**	**-**	**207,140**	**207,439**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	299	-	207,140	207,439
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
პერიოდის მოგება	-	-	157,765	157,765
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან				
დივიდენდები	-	-	(23,375)	(23,375)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**-**		(23,375)	(23,375)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**299**	-	**341,530**	**341,829**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან					
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		156,327	140,069	161,890	173,473
კორექტირებები:					
წმინდა ფინანსური ხარჯები		47,248	60,630	49,375	65,072
ცვეთა და ამორტიზაცია		3,268	2,540	10	7
		206,843	**203,239**	**211,275**	**238,552**
ცვლილებები:					
გაცემულ ავანსებში		4,837	(7,033)	-	-
მოთხოვნებში მომსახურების მომწოდებლების მიმართ		(38)	(2,812)	-	-
სხვა მოთხოვნებში		118	575	437	(707)
მისაღებ დივიდენდებში		-	-	(3,293)	(207)
სხვა მოთხოვნებში		(100)	-	-	-
მარაგებში		171	(163)	-	-
გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(1,500)	2,161	-	-
მომხმარებელთა ნაშთებში და წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებში		7,249	(744)	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,790	(563)	491	(680)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		**221,370**	**194,660**	**208,910**	**236,958**
გადახდილი პროცენტი		(50,475)	(66,264)	(50,285)	(66,191)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,197)	(5,905)	(4,125)	(5,894)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**166,698**	**122,491**	**154,500**	**164,873**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან					
მიღებული პროცენტი		2,569	4,852	174	336
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,609)	(1,260)	-	(42)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვა		188	73	-	-
(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(3,852)**	**3,665**	**174**	**294**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან					
გადახდილი დივიდენდები		(23,375)	(33,399)	(23,375)	(33,399)
სესხების და კრედიტების დაფარვა		(129,800)	(134,500)	(129,800)	(134,500)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(794)	(667)	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(153,969)**	**(168,566)**	**(153,175)**	**(167,899)**
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**8,877**	**(42,410)**	**1,499**	**(2,732)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		24,024	66,416	1,573	4,257
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებზე		(9)	18	2	48
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	**32,892**	**24,024**	**3,074**	**1,573**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის და კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე/კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებამ ხელი შეუწყო გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას. აღნიშნული ზომები გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებსა და ინვესტორების განწყობაზე. ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების შემოღებამ, ნავთობის გლობალური ფასების არასტაბილურობამ და რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის და კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში, „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს შპს „ენთეინ ჯორჯიას“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“ და ცალ-ცალკე, როგორც „ჯგუფის საწარმოები“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს “ენთეინ ჯორჯია“ (“კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია 2021 წლის 8 თებერვალს დაარსდა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქუჩა #19. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 405435596.

შპს „მარსი“, კომპანიის შვილობილი საწარმო, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. შპს „მარსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალბრენდული სათამაშო ვებგვერდის მართვა, რომელიც თავის მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ სპორტულ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ peer-to-peer და სხვა ონლაინ თამაშებს. ზემოაღნიშნულ მომსახურებას ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი ვებგვერდის საშუალებით: www.crystalbet.com.

შპს „ენთეინ ჯორჯიას“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშების ოპერატორებისათვის (ძირითადად, შპს „მარსი“-სთვის) მიწოდება, და ამავდროულად, ჰოლდინგური საწარმოს სახით მოქმედება. კომპანია მოქმედებს როგორც შუამავალი თამაშების მომწოდებლებსა და შპს „მარსს“ შორის, სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე.

შპს „მარსი“ ასევე ამუშავებს სამორინეს, ტოტალიზატორს და ცხრამეტ სალარო დახლს (2023: ოცი სალარო დახლი).

შპს „ენთეინ ჯორჯიას“ საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი:

მესაკუთრეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
„Bwin Holdings (Malta) Limited“	100%	100%

შპს „მარსის“ საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი:

მესაკუთრეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს "ენთეინ ჯორჯია"	100%	100%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი 2024 წლის 31 დეკემბერს	საკუთრების წილი 2023 წლის 31 დეკემბერს	პირდაპირი მშობელი კომპანია
შპს „მარსი“	მრავალბრენდული სათამაშო ვებგვერდისა და ონლაინ თამაშების ოპერირება	100%	100%	შპს "ენთეინ ჯორჯია"

2021 წლის ოქტომბერში, შპს „ენთეინ ჯორჯიამ“ („კომპანია“), ("Entain PLC"-ის (მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ფსონებისა და თამაშების კომპანია, რომელიც ოპერირებს როგორც ონლაინ ასევე საცალო სექტორებში) (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე)) საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია), საერთო კონტროლის ოპერაციის საშუალებით შპს „მარსის“ 100%-იანი წილი შეიძინა. ამ ოპერაციის შედეგად, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ შეცვლილა. Entain PLC-ის აქციები კოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟის მთავარი ბაზრის ოფიციალურ სიაში (პრემიუმ სეგმენტი).

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის/ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 21 (b) - შემოსავლის აღიარება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის/კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 17(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	**2024**	**2023**	**2024**	**2023**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან				
შემოსავალი ონლაინ peer-to-peer თამაშებიდან	7,800	6,919	-	-
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16,161	12,046	9,064	8,064
	23,961	18,965	9,064	8,064
შემოსავალი, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის გარდა				
შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	357,679	321,433	-	-
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან	122,871	108,199	-	-
	480,550	429,632	-	-
წმინდა შემოსავალი	**504,511**	**448,597**	**9,064**	**8,064**

შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება. ბიზნეს ოპერაციების ბუნების გამო, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სახელშეკრულებო ნაშთები არ არსებობს.

სხვა შემოსავალი კომპანიის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოიცავს შპს „მარსის“ მიერ ონლაინ თამაშების მიწოდებისთვის გადახდილ საფასურს (იხ. შენიშვნები 1 და 19).

ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებების ხასიათის შესახებ წარმოდგენილია შენიშვნაში 21(b).

6. საოპერაციო ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	2024	2023	2024	2023
გადასახადი კაზინოს თამაშებზე	76,503	42,374	-	-
თამაშების მომწოდებლის ხარჯები	58,784	60,516	8,050	7,113
მომსახურების მომწოდებლის მოსაკრებლები და ბანკის საკომისიოები	48,242	41,228	-	-
გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე	44,119	38,947	-	-
მარკეტინგის ხარჯები	25,770	23,162	-	-
მარეგულირებლის ცვლადი სათამაშო მოსაკრებლები	3,190	2,779	721	582
ტექნოლოგიის ხარჯები	3,115	2,421	92	-
ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები საგადასახადო ორგანოებისთვის	3,099	2,164	112	124
პროფესიული მომსახურება	1,041	613	119	195
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	916	851	-	-
საიჯარო ხარჯები	862	736	-	-
საოფისე მარაგები	353	244	-	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	204	144	-	-
სხვა ხარჯები	2,533	1,224	21	43
	268,731	**217,403**	**9,115**	**8,057**

* საქართველოში, 2022 წლის იანვრიდან, ონლაინ კაზინოდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმს. 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე, მოქმედი საგადასახადო განაკვეთი იყო 10%. 2024 წლის 1 იანვრიდან განაკვეთი 15%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, ონლაინ სპორტული ფსონებიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება მსგავს სპეციალურ დაბეგვრის რეჟიმს, მე-7 შენიშვნაში აღწერილის შესაბამისად.

** მომხმარებელთა წამახალისებელი გათამაშების ხარჯები წარმოადგენს წახალისებებს, რომლებიც კომპანიის ზოგად მარკეტინგულ საქმიანობას უკავშირდება, რადგან ისინი არ არის პირდაპირ დაკავშირებული კლიენტის სათამაშო საქმიანობასთან და ზოგადი მარკეტინგული ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს. აღნიშნული წარმოადგენს სარეკლამო ხარჯებს, რომლებიც გაწეულია პოტენციური მომხმარებლების წინაშე ბიზნესის ცნობადობის, რეკლამის ან საერთო მიმზიდველობის ასამაღლებლად.

*** ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები საგადასახადო ორგანოებისთვის წარმოადგენს მარეგულირებელი სანებართვო მოსაკრებლის დარიცხვებს სათამაშო საქმიანობისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღრიცხა მარეგულირებლის სანებართვო მოსაკრებლის საავანსო ნაშთი 1,213 ათასი ლარის და 500 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად (იხ. შენიშვნა 7).

2024 წლის 1 ივნისიდან, საქართველოს კანონში „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- არსებული სალიცენზიო წესების (რომელიც კომპანიისგან სამორინეს ფლობას მოითხოვს) ალტერნატიული ვარიანტის სახით, ახალი კანონმდებლობა აძლევს კომპანიას შესაძლებლობას სამორინესთვის ლიცენზიის ფლობის გარეშე ჩაატაროს კაზინოს თამაშები სისტემურ-ელექტრონული ფორმით. თუმცა, ამ შემთხვევაში, სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 5,000 ათასი ლარით განისაზღვრება, კვარტალური გადასახადის გადახდის აუცილებლობის გარეშე. კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ ლიცენზიას სამორინესთვის, კაზინოს თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩატარების სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 100 ათასი ლარით განისაზღვრება.
- კომპანიებისთვის, რომლებიც არ ფლობენ სამორინეს, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სლოტ აპარატების თამაშობების ორგანიზების წლიური სალიცენზიო მოსაკრებელი 1,000 ათასი ლარით განისაზღვრა (დამატებითი კვარტალური გადასახადის გადახდის აუცილებლობის გარეშე). კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ სამორინეს, სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 100 ათასი ლარით განისაზღვრა.
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების წლიური სალიცენზიო მოსაკრებელი 100 ათასი ლარით განისაზღვრა;

2024 წლის 1 ივნისიდან, საქართველოს კანონში „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ შევიდა შემდეგი ცვლილება: აზარტული თამაშების ბიზნესის სისტემურ-ელექტრონული მოსაკრებლები სამ კატეგორიად გაიყოფა: კაზინოს თამაშები, სლოტ აპარატების თამაშები და ტოტალიზატორი (სპორტული ფსონები). საიდანაც ჯგუფი კვარტალურად გადაიხდის 250 ათას ლარს მხოლოდ კაზინოს თამაშებისთვის და სპორტული ფსონების (ტოტალიზატორის) საქმიანობისთვის - რადგან მას არ აქვს მფლობელობაში მიწის სლოტ სალონი.

****პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 234 ათასი ლარის ოდენობით, გადასახადების ჩათვლით (2023: 282 ათასი ლარი).

7. დაბეგვრა

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

ჯგუფზე/კომპანიაზე ვრცელდება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან. 2022 წლის იანვრიდან, შემოსავალი ონლაინ კაზინოდან ექვემდებარება სპეციალურ დაბეგვრის რეჟიმს საქართველოში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. ამ კონკრეტული საგადასახადო რეჟიმის მიხედვით, რომელიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან, განაწილებული მოგების დაბეგვრის მაგივრად, იბეგრება ონლაინ კაზინოს თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი (ანუ. სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებისთვის გადახდილ მოგებას შორის) 10%-იანი განაკვეთით. 2024 წლის 1 იანვრიდან განაკვეთი 15%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება მსგავს სპეციალურ დაბეგვრის რეჟიმს, სადაც განაწილებული მოგების მაგივრად, იბეგრება ონლაინ ტოტალიზატორის ბრუტო შემოსავალი (ანუ მიღებული ფსონები) 7%-იანი განაკვეთით. შედეგად, ონლაინ ტოტალიზატორიდან და ონლაინ კაზინოდან მიღებული მოგების შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2024 წლის 1 დეკემბრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილებები რომელთაც შემოაქვთ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი ონლაინ აზარტული თამაშების იმ ოპერატორებისთვის, რომლებიც უცხოელ მოთამაშეებზე არიან ორიენტირებულნი. კერძოდ, უცხოელი მოთამაშეების მიერ ონლაინ კაზინოს თამაშებიდან გენერირებული „თამაშების მთლიანი შემოსავალი“ (GGR) ახლა იბეგრება შემცირებული, 5%-იანი განაკვეთით, ადრე მოქმედ 15%-იან განაკვეთთან შედარებით (იხ. ზემოთ).

2024 წლის 1 დეკემბრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ცვლის დაბეგვრის რეჟიმს ონლაინ ტოტალიზატორის იმ ოპერატორებისთვის, რომლებიც უცხოელ მოთამაშეებზე არიან ორიენტირებულნი. ადრე, აღნიშნული ოპერატორები იბეგრებოდნენ 7%-იანი განაკვეთით მიღებული ფსონების ჯამურ ოდენობაზე (იხ. ზემოთ). ახალი რეგულაციების მიხედვით, უცხოელი მოთამაშეებისთვის დასაბეგრი ბაზა ჩანაცვლდა GGR-ით და ამჟამად ექვემდებარება შემცირებულ 5%-იან საგადასახადო განაკვეთს.

ჯგუფზე და კომპანიაზე ვრცელდება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი (ქართული კომპანიებისთვის).

მოგების გადასახადის აღიარების და შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია შენიშვნაში 21(f).

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	ჯგუფი				კომპანია			
	2024		2023		2024		2023	
	’000 ლარი	%	’000 ლარი	%	’000 ლარი	%	’000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები და სხვა, დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავალი	**23,783**		**33,461**		**23,375**		**33,399**	
დივიდენდები, რომლებსაც მოგების გადასახადი არ მიესადაგება	-		-				-	
დივიდენდები/ სხვა შემოსავალი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადით	23,783	100	33,461	100	23,375	100	33,399	100
გადასახადი, შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	4,197	18	5,905	18	4,125	18	5,894	18
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	**4,197**	**18**	**5,905**	**18**	**4,125**	**18**	**5,894**	**18**

შპს „მარსიდან“ შპს „ენთეინ ჯორჯიაზე“ დივიდენდების განაწილება, რომელიც ელიმინირდება კონსოლიდაციისას, არ იბეგრება მოგების გადასახადით, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დივიდენდების განაწილება რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

(b) გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წინასწარ გადახდილი მარეგულირებლის სანებართვო მოსაკრებლები	(1,213)	(500)	-	-
სხვა გადასახადები	3,896	4,683	-	-
	2,683	**4,183**	**-**	**-**

8. წმინდა ფინანსური ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	2024	2023	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში				
საპროცენტო შემოსავალი	2,569	4,852	174	336
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	36	87	36	87
ფინანსური შემოსავალი	**2,605**	**4,939**	**210**	**423**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(49,585)	(65,495)	(49,585)	(65,495)
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(190)	(73)	-	-
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(78)	(1)	-	
ფინანსური ხარჯები	(49,853)	(65,569)	(49,585)	(65,495)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(47,248)**	**(60,630)**	**(49,375)**	**(65,072)**

9. ძირითადი საშუალებები

ჯგუფი

'000 ლარი	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	10,219	1,464	536	322	12,541
შესყიდვები	620	198	450	-	1,268
გასვლები	(7)	-	(105)	-	(112)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**10,832**	**1,662**	**881**	**322**	**13,697**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	10,832	1,662	881	322	13,697
შესყიდვები	5,574	300	502	177	6,553
გასვლები	(422)	(241)	(153)	(32)	(848)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**15,984**	**1,721**	**1,230**	**467**	**19,402**
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	7,288	722	88	182	8,280
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,289	184	129	54	1,656
გასვლები	(7)	-	(33)	-	(40)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**8,570**	**906**	**184**	**236**	**9,896**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	8,570	906	184	236	9,896
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,770	192	211	61	2,234
გასვლები	(393)	(225)	(25)	(16)	(659)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**9,947**	**873**	**370**	**281**	**11,471**
საბალანსო ღირებულება:					
2023 წლის 31 დეკემბერს	**2,262**	**756**	**697**	**86**	**3,801**
2024 წლის 31 დეკემბერს	**6,037**	**848**	**860**	**186**	**7,931**

10. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში

კომპანია ’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს „მარსი“	698,401	698,401

2021 წელს, კომპანიამ, არაფულადი გარიგების საშუალებით, შეიძინა ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში მისი მშობელი კომპანიისგან (შენიშვნა 12). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში წარმოდგენილია თვითღირებულებით და გაუფასურების მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

2024 წლის განმავლობაში, შპს „მარსმა“ მის მშობელ კომპანიაზე, შპს „ენთეინ ჯორჯიაზე“ გამოაცხადა 212,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 242,008 ათასი ლარი) და გადაუხადა 208,707 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 241,801 ათასი ლარი).

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	3,837	3,923	-	-
საბანკო ნაშთები	29,055	20,101	3,074	1,573
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	**32,892**	**24,024**	**3,074**	**1,573**

12. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-17 შენიშვნაში.

	ჯგუფი		კომპანია	
’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ვალდებულებები				
„Ladbrokes Group Finance PLC“-სგან მიღებული სესხი	362,493	492,993	362,493	492,993
	362,493	**492,993**	**362,493**	**492,993**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
„Ladbrokes Group Finance PLC“-სგან მიღებული სესხი	ლარი	11.23%	2026	362,493	362,493
სულ სესხები და კრედიტები				**362,493**	**362,493**

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
„Ladbrokes Group Finance PLC“-სგან მიღებული სესხი	ლარი	11.23%	2026	492,993	492,993
სულ სესხები და კრედიტები				**492,993**	**492,993**

სესხი მიღებულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო „Ladbrokes Group Finance plc“-სგან („გამსესხებელი“). 2021 წლის 5 ოქტომბერს, კომპანიამ მშობელი კომპანიისგან („Bwin Holdings (Malta) Limited“) შეიძინა 698,401 ათასი ლარის ოდენობით ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში (იხ. შენიშვნა 10). შესყიდვა დაკმაყოფილდა „Bwin Holdings (Malta) Limited“-ის მიერ „Ladbrokes Group Finance plc“-ზე გადასახდელი 698,401 ათასი ლარის ოდენობით სასესხო ვალდებულების ურთიერთგადაფარვის გზით. სესხის სახელშეკრულებო დაფარვის ვადაა 2026 წლის 5 ოქტომბერი, თუმცა გამსესხებელმა შეიძლება კომპანიას საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნებისმიერი დაუფარავი ოდენობის ნებისმიერ დროს, მოთხოვნისთანავე დაფარვა მოსთხოვოს. რადგან კომპანიას არ აქვს სესხის ფარგლებში განსახორციელებელი გადახდების 1 წელზე მეტი ვადით გადავადების უპირობო უფლება, ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სესხი კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სესხი იქნება სრულად დასაფარი მისი დაფარვის თარიღამდე (იხ. შენიშვნა 17 (b)).

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება სესხები და კრედიტებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

სესხები და კრედიტები

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	**492,993**	**628,189**
ცვლილებები სესხები და კრედიტებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადებიდან:		
სესხების დაფარვა	(129,800)	(134,500)
წმინდა ფულადი ნაკადები სესხები და კრედიტებიდან	**(129,800)**	**(134,500)**
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი	49,585	65,495
გადახდილი პროცენტი	(50,285)	(66,191)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ცვლილებები	**(700)**	**(696)**
ნაშთი 31 დეკემბერს	**362,493**	**492,993**

13. მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომხმარებელთა ნაშთები და ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	5,488	4,526	-	-
პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები**	8,082	1,804	-	-
	13,570	**6,330**	**-**	**-**

*ფინანსური ანგარიშგების ეს მუხლი მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომლებიც წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომელთა შედეგებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ დამდგარა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და ჯგუფის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ არის არსებითი და არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც სავარაუდოდ ჯგუფმა უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის დადგომისას. ტოტალიზატორის ფსონები არ არის პროცენტის მატარებელი, შესაბამისად, ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს თავიანთ ნაშთებზე.

** პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები წარმოადგენს იმ ჯეკპოტის ფონდებთან დაკავშირებით აღიარებულ ანარიცხს, რომლებიც შეგროვებულია, მაგრამ ჯერ არ არის განაწილებული მომხმარებლებზე, საანგარიშგებო თარიღისთვის.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები თამაშების მომწოდებლების მიმართ	13,500	9,506	2,931	2,503
სხვა ვალდებულებები	2,148	2,383	118	89
	15,648	**11,889**	**3,049**	**2,592**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების ზეგავლენა განხილულია მე-17 შენიშვნაში.

15. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

2023 წელს, კომპანიამ განაახლა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტები და განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად „საწესდებო კაპიტალის“ ცნება „განთავსებული კაპიტალით“ ჩაანაცვლა.

განთავსებული კაპიტალი კომპანიის მიერ განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ოდენობას წარმოადგენს. კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიხედვით განთავსებული კაპიტალი ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა.

(b) შერწყმის რეზერვი

შერწყმის რეზერვი შეიქმნა 2021 წელს საერთო კონტროლის გარიგების შედეგად და ასახავს სხვაობას აღიარებული აქტივების სააღრიცხვო ღირებულებებსა და გადაცემული საწარმოს, შპს „მარსის“ საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას შორის (იხ. შენიშვნა 1).

(c) დივიდენდები

ჯგუფში/კომპანიაში წილების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან ჯგუფის/კომპანიის საერთო კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

2024 წელს, შპს „ენთეინ ჯორჯიამ“ „ Bwin Holdings (Malta) Limited“-ზე გამოაცხადა და გადაიხადა 23,375 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 33,399 ათასი ლარი).

ჯგუფის/კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად.

(d) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ჯგუფზე/კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

16. გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, გადახდილი ავანსების ნაშთი ძირითადად შედგებოდა საგადახდო მომსახურების მომწოდებლებზე გადახდილი, 4,463 ათასი ლარის ოდენობით ავანსებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,178 ათასი ლარი) და სარეკლამო აქტივების შეძენისთვის გადახდილი 2,082 ათასი ლარის ოდენობით ავანსებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 4,273 ათასი ლარი).

17. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა/კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების მოკლე ვადიანობის გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი/კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17 (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17 (b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

სესხი მიღებულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო „Ladbrokes Group Finance plc“-სგან („გამსესხებელი“). 2021 წლის 5 ოქტომბერს, კომპანიამ მშობელი კომპანიისგან („Bwin Holdings (Malta) Limited“) შეიძინა 698,401 ათასი ლარის ოდენობით ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში (იხ. შენიშვნა 10). შესყიდვა დაკმაყოფილდა „Bwin Holdings (Malta) Limited“-ის მიერ „Ladbrokes Group Finance plc“-ზე გადასახდელი 698,401 ათასი ლარის ოდენობით სასესხო ვალდებულების ურთიერთგადაფარვის გზით. სესხის სახელშეკრულებო დაფარვის ვადაა 2026 წლის 5 ოქტომბერი, თუმცა გამსესხებელმა შეიძლება კომპანიას საკრედიტო ხაზის ფარგლებში ნებისმიერი დაუფარავი ოდენობის ნებისმიერ დროს, მოთხოვნისთანავე დაფარვა მოსთხოვოს. რადგან კომპანიას არ აქვს სესხის ფარგლებში განსახორციელებელი გადახდების 1 წელზე მეტი ვადით გადავადების უპირობო უფლება, ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით შედგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სესხი კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სესხი იქნება სრულად დასაფარი მისი დაფარვის თარიღამდე (იხ. შენიშვნა 17 (b)).

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება სესხები და კრედიტებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

სესხები და კრედიტები

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	**492,993**	**628,189**
ცვლილებები სესხები და კრედიტებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადებიდან:		
სესხების დაფარვა	(129,800)	(134,500)
წმინდა ფულადი ნაკადები სესხები და კრედიტებიდან	**(129,800)**	**(134,500)**
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი	49,585	65,495
გადახდილი პროცენტი	(50,285)	(66,191)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ცვლილებები	**(700)**	**(696)**
ნაშთი 31 დეკემბერს	**362,493**	**492,993**

13. მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომხმარებელთა ნაშთები და ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	5,488	4,526	-	-
პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები**	8,082	1,804	-	-
	13,570	**6,330**	**-**	**-**

*ფინანსური ანგარიშგების ეს მუხლი მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომლებიც წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომელთა შედეგებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ დამდგარა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და ჯგუფის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ არის არსებითი და არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც სავარაუდოდ ჯგუფმა უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის დადგომისას. ტოტალიზატორის ფსონები არ არის პროცენტის მატარებელი, შესაბამისად, ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს თავიანთ ნაშთებზე.

** პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები წარმოადგენს იმ ჯეკპოტის ფონდებთან დაკავშირებით აღიარებულ ანარიცხს, რომლებიც შეგროვებულია, მაგრამ ჯერ არ არის განაწილებული მომხმარებლებზე, საანგარიშგებო თარიღისთვის.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები თამაშების მომწოდებლების მიმართ	13,500	9,506	2,931	2,503
სხვა ვალდებულებები	2,148	2,383	118	89
	15,648	**11,889**	**3,049**	**2,592**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების ზეგავლენა განხილულია მე-17 შენიშვნაში.

15. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

2023 წელს, კომპანიამ განაახლა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტები და განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად „საწესდებო კაპიტალის“ ცნება „განთავსებული კაპიტალით“ ჩაანაცვლა.

განთავსებული კაპიტალი კომპანიის მიერ განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ოდენობას წარმოადგენს. კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიხედვით განთავსებული კაპიტალი ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა.

(b) შერწყმის რეზერვი

შერწყმის რეზერვი შეიქმნა 2021 წელს საერთო კონტროლის გარიგების შედეგად და ასახავს სხვაობას აღიარებული აქტივების სააღრიცხვო ღირებულებებსა და გადაცემული საწარმოს, შპს „მარსის“ საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას შორის (იხ. შენიშვნა 1).

(c) დივიდენდები

ჯგუფში/კომპანიაში წილების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან ჯგუფის/კომპანიის საერთო კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

2024 წელს, შპს „ენთეინ ჯორჯიამ“ „ Bwin Holdings (Malta) Limited“-ზე გამოაცხადა და გადაიხადა 23,375 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 33,399 ათასი ლარი).

ჯგუფის/კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად.

(d) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ჯგუფზე/კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

16. გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, გადახდილი ავანსების ნაშთი ძირითადად შედგებოდა საგადახდო მომსახურების მომწოდებლებზე გადახდილი, 4,463 ათასი ლარის ოდენობით ავანსებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,178 ათასი ლარი) და სარეკლამო აქტივების შეძენისთვის გადახდილი 2,082 ათასი ლარის ოდენობით ავანსებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 4,273 ათასი ლარი).

17. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა/კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების მოკლე ვადიანობის გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი/კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17 (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17 (b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და ჯგუფის/კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის/კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

სპორტულ ფსონებთან დაკავშირებული რისკების მართვა ჯგუფის/კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ჯგუფში/კომპანიაში არის ცალკე განყოფილება, რომელიც საბუკმეიკერო ფსონების შედგენაზე და სპორტულ ფსონებთან დაკავშირებული რისკების მართვაზე არის პასუხისმგებელი.

საბოლოო მშობელი კომპანია ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის/კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის/კომპანიის მოთხოვნებიდან მომსახურების მომწოდებლების მიმართ, მისაღები დივიდენდებიდან, სხვა მოთხოვნებიდან, შეზღუდული ნაშთებიდან და ბანკში არსებული ნაშთებიდან.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზეგავლენა იყო შემდეგი:

	ჯგუფი		კომპანია	
	საბალანსო ღირებულება		საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	29,055	20,101	3,074	1,573
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები	258	158	-	-
მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ	10,484	10,446	-	-
მისაღები დივიდენდები	-	-	3,500	207
სხვა მოთხოვნები	137	255	2,364	2,801
	39,934	**30,960**	**8,938**	**4,581**

საბანკო ნაშთები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

ბანკში არსებული ნაშთები და შეზღუდული ნაშთები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც აქვთ მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ჯგუფი/კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს ზეგავლენების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი/კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ

მოთხოვნები გადახდის მომსახურების მომწოდებლების მიმართ დაკმაყოფილებულია 1-10 დღის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, არცერთი ნაშთი გადახდის მომწოდებლებისგან არ არის ვადაგადაცილებული და აღნიშნული ნაშთები შეგროვდა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. აღნიშნულ გარემოებებში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მომსახურების მომწოდებლების მიმართ მოთხოვნებისგან წარმოშობილ საკრედიტო რისკს არ აქვს ჯგუფზე/კომპანიაზე ზეგავლენა.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი/კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით.

ჯგუფის/კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის/კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებითი დაფინანსების ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

ჯგუფის/კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან და სპორტული ფსონების შედეგების პოტენციური არასტაბილურობიდან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ რეალური მოკლევადიანი ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება მოსალოდნელი ნაკადებისგან. შესაბამისად, ჯგუფი/კომპანია იყენებს მეტად კონსერვატიულ მიდგომას ფულადი სახსრების პროგნოზირების დროს, იმ მიზნით, რომ მოხდეს სპორტულ თამაშებში შესაძლო უარყოფითი შედეგების შედეგად გამოწვეული დანაკარგების დაზღვევა.

ჯგუფი/კომპანია უზრუნველყოფს, რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მისი მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით:

31 დეკემბერი 2024

ჯგუფი

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,900	14,900	-	14,900	-	-	-
სესხები და კრედიტები	362,493	362,493	362,493	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,777	1,763	-	878	875	10	-
	379,170	**379,156**	**362,493**	**15,778**	**875**	**10**	**-**

კომპანია

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,049	3,049	-	3,049	-	-	-
სესხები და კრედიტები	362,493	362,493	362,493	-	-	-	-
	365,542	**365,542**	**362,493**	**3,049**	**-**	**-**	**-**

31 დეკემბერი 2023

ჯგუფი

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,984	10,984	-	10,984	-	-	-
სესხები და კრედიტები	492,993	492,993	492,993	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,551	1,534	-	490	537	507	-
	505,528	**505,511**	**492,993**	**11,474**	**537**	**507**	**-**

კომპანია

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,592	2,592	-	2,592	-	-	-
სესხები და კრედიტები	492,993	492,993	492,993	-	-	-	-
	495,585	**495,585**	**492,993**	**2,592**	**-**	**-**	**-**

მიუხედავად იმისა, რომ ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, სასესხო ნაშთი იქნა კლასიფიცირებული როგორც მოთხოვნამდე (იხ. შენიშვნა 12), 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, არ არის მოსალოდნელი, რომ გამსესხებელი მოითხოვს სესხის დაფარვას მისი სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე (2026 წელი), რათა კომპანიას, უახლოეს მომავალში, მისი საოპერაციო არსებობის გაგრძელების საშუალება მისცეს. 2025 წლის განმავლობაში, სესხის ნაწილი იქნა დაფარული (იხ. შენიშვნა 23(b)).

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის/კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს ფულად სახსრებსა და მთ ეკვივალენტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგნაკვეთიანი ინსტრუმენტი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი/კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ფულადი სახსრების ანაბრებზე განთავსებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება ჯგუფისთვის/კომპანიისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენა

საანგარიშგებო თარიღებისთვის, ჯგუფი/კომპანია არსებითად არ განიცდის საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენას.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი/კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფი/კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები და შესყიდვები (ძირითადად თამაშების მომწოდებლებისგან) და ჯგუფის/კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ზემოაღნიშნული შესყიდვები არის ევრო.
2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია არსებითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად ჯგუფი/კომპანია არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს.

18. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის/ჯგუფის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის/კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Bwin Holdings (Malta) Limited.“ კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „Entain PLC“ (იხილეთ შენიშვნა 1). "Entain PLC"-ის წლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე: www.entaingroup.com.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

	ჯგუფი		კომპანია	
'000 ლარი	**2024**	**2023**	**2024**	**2023**
ხელფასები და სხვა გასამრჯელო	4,496	2,099	23	13
	4,496	**2,099**	**23**	**13**

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფი				
'000 ლარი	**გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**		**დაუფარავი ნაშთი**	
	2024	**2023**	**2024 წლის 31 დეკემბერს**	**2023 წლის 31 დეკემბერს**
მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები*	(4,581)	(4,710)	(6,212)	(5,103)
ფასს 16 საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისგან	-	(21)	-	-
სესხები და კრედიტები:**				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	-	-	(360,575)	(490,376)
საპროცენტო ხარჯი**				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(49,585)	(65,495)	(1,918)	(2,617)

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო ვალებზე ხარჯების აღიარება.

* საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისგან მომსახურების შესყიდვა მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ჯგუფისთვის ტექნოლოგიური მომსახურების მიწოდებასთან მიმართებაში, მათ შორის, ონლაინ თამაშების, რულეტის პირდაპირი ეთერის და მათი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების გაწევა;

კომპანია

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი	
	2024	2023	2024 წლის 31 დეკემბერს	2023 წლის 31 დეკემბერს
მომსახურების გაყიდვა:				
შვილობილი კომპანიები	8,855	7,958	2,231	2,564
მომსახურების შესყიდვა:				
შვილობილი კომპანიები	(1)	(1)	(1)	(11)
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(1,638)	(1,578)	(2,011)	(1,921)
სესხები და კრედიტები:**				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	-	-	(360,575)	(490,376)
საპროცენტო ხარჯი**				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(49,585)	(65,495)	(1,918)	(2,617)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში				
შვილობილი კომპანიები	-	-	698,401	698,401
შემოსავალი დივიდენდებიდან				
შვილობილი კომპანიები	212,000	242,008	3,500	207

**გარიგების ღირებულება წლის განმავლობაში დარიცხულ პროცენტს წარმოადგენს. სასესხო ნაშთებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაშია წარმოდგენილი.

20. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა დადებული ტოტალიზატორის ფსონების ტრანზაქციებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

21. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ჯგუფის და კომპანიის მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შესყიდვები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან

ოპერაციები, რომელიც დგება საწარმოებში წილების გადაცემიდან, რომელიც იმ აქციონერის კონტროლს ექვემდებარება, რომელიც აკონტროლებს ჯგუფს, აღირიცხება სააღრიცხვო ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე ("ნაშთის გადატანის საფუძველი"), იმგვარად, თითქოს შესყიდვას ყველაზე ადრეული წარმოდგენილი შესადარისი პერიოდის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

გადაცემული აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ადრე აღიარებული იყო გადაცემული საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. გადაცემული საწარმოს კაპიტალის კომპონენტები, გარდა სააქციო და საწესდებო კაპიტალებისა, დამატებულია იგივე კომპონენტებზე ჯგუფის ფარგლებში.

სხვაობა ანაზღაურებასა (გადახდილი ფულადი სახსრების სახით ან სააქციო კაპიტალში შენატანების საშუალებით) და გადაცემული საწარმოს საწესდებო კაპიტალს შორის აღრიცხულია კაპიტალში „შერწყმის რეზერვის“ ფარგლებში.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. გარდა საერთო კონტროლის გარიგებებისა (იხილეთ ქვემოთ), შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

(iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი

ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ონლაინ თამაშებია: ტოტალიზატორი, კაზინო, და peer-to-peer თამაშები. ჯგუფი ასევე ამუშავებს სამორინეს ქვიტირში და საბუკმეიკერო კანტორას ბორჯომში.

ჯგუფის ფსონებისა და სათამაშო საქმიანობა, გარდა peer-to-peer თამაშებისა, რომლებზეც ხდება საკომისიო შემოსავლის გამომუშავება, კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად. შემოსავალი არ ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, ნარდის გარდა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი/კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ჯგუფი გარიგების ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი/კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების ხასიათი და ვადები და მნიშვნელოვანი გადახდის პირობები
შემოსავალი peer-to-peer თამაშებიდან	Peer-to-peer თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოებს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო პერიოდის ბოლოსთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ თამაშის დაწყებისას, „რეიკი“ აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში, ყოველ დასრულებულ თამაშზე.
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოიცავს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებს და საკომისიოს ონლაინ თამაშების მიწოდებისთვის (მხოლოდ კომპანიის შემთხვევაში). ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ტრანზაქციას განახორციელებს, შემოსავალი აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის გარდა

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ფსონების საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ამონაგებს ან ზარალს პერიოდის განმავლობაში და წარმოდგენილია პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება შემოსავლების მუხლში, რადგან აღნიშნული ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს (“customer drop”), ანუ სხვაობას დადებულ ფსონებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის.

პერიოდის განმავლობაში გაწეული, მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ ტოტალიზატორის, ონლაინ კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წარმოდგენილია წმინდა სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

– საპროცენტო შემოსავალს
– საპროცენტო ხარჯს
– უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების/კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის/კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ ჯგუფს/კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის პროვაიდერები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო საფინანსო დაწესებულებები აღარ გადავლენ ესტონურ დაბეგვრის მოდელზე (გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომლებიც ესტონურ მოდელზე 2024 წლის 1 იანვრიდან გადავლენ).

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) ტოტალიზატორის გადასახადი და კაზინოს თამაშების გადასახადი

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 7%-იანი მოგების გადასახადით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის საფუძველზე (ანუ მიღებული ფსონები). 2024 წლის 1 დეკემბრიდან, მხოლოდ უცხოელ მოთამაშეებზე გათვლილი დასაბეგრი ბაზა იქნა გადახედილი. დასაბეგრი ბაზა ეხლა გამოითვლება თამაშების მთლიანი შემოსავლის საფუძველზე და არა მიღებული ფსონების მთლიანი ოდენობის მიხედვით. აღნიშნული ცვლილება 5%-მდე ამცირებს უცხოელი მოთამაშეებისთვის მოქმედ საგადასახადო განაკვეთს, რომელიც თამაშების მთლიანი შემოსავლის საფუძველზე გამოითვლება.

ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 15%-იანი (2024 წლამდე -10%) მოგების გადასახადით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული ბრუტო შემოსავლის საფუძველზე (ანუ სხვაობა მიღებულ ფსონებსა და გადახდილ მოგებას შორის), იხ. ასევე შენიშვნა 23(b)). 2024 წლის 1 დეკემბრიდან, უცხოელი მოთამაშეების მიერ კაზინოს თამაშებიდან გენერირებული „თამაშების მთლიანი შემოსავლის“ გადასახადი შემცირებულია 5%-მდე, ადრე მოქმედ 15%-იან განაკვეთთან შედარებით.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში/კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი/კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	3-5 წლამდე
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
საიჯარო კეთილმოწყობა	5-7 წლამდე

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(i) არამატერიალური აქტივები

(i) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის/კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 3-დან 10 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი დაფარვის ვადებით - 3 თვე ან ნაკლები.

ჯგუფი/კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც ჯგუფი/კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი/კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

იმ კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიამ/ჯგუფმა შეიძლება შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას/ჯგუფს შეუძლია შეუქცევად აირჩიოს ფინანსური აქტივის, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამორტიზებული ღირებულებით შეფასება, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ აღნიშნული აღმოფხვრის ან არსებითად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11), რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვები აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

ჯგუფმა/კომპანიამ გადაწყვიტა სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი/კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- დიდი ალბათობით, მომწოდებელი ვერ შეძლებს ჯგუფის/კომპანიის მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულებების სრულად დაფარვას, ჯგუფის/კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელების გარეშე, როგორიც არის უზრუნველყოფის რეალიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iv) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი/კომპანია თავდაპირველად ახდენს მოთხოვნების აღიარებას მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ჯგუფი/კომპანია წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის განახორციელებს ოპერაციას, რომლითაც გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, ოპერაციაში, რომლითაც, არსებითად ყველა რისკისა და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურების გადაცემა ხდება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს ჯგუფი/კომპანია, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარულია და წმინდა ოდენობა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს იურიდიული უფლება ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და მას აქვს განზრახვა მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(v) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

სპორტული ფსონების ღია პოზიციები ჯგუფის/კომპანიის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება შემოსავლების მუხლში, რადგან აღნიშნული ჯგუფის/კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

(k) კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

შერწყმის რეზერვი

სხვაობა გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი საწარმოს საწესდებო კაპიტალს შორის, რომელიც შეძენილია საერთო კონტროლის ოპერაციების საშუალებით, აღრიცხულია კაპიტალში, „შერწყმის რეზერვის“ მუხლში.

(l) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის/კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(m) ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები კომპანიის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს წარმოადგენს. კომპანია აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი შემოსავლები მისი ჩართულობიდან საწარმოში და აქვს უნარი იმოქმედოს ამგვარ შემოსავლებზე საწარმოზე მისი უფლებამოსილების საშუალებით.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში ფასდება შესყიდვის ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, დროის გარკვეული პერიოდით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი/კომპანია იყენებს ფასს 16-ის იჯარის განმარტებას.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი/კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას, კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფს/კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის/კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის/კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი/კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

ჯგუფი/კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით. 2024 და 2023 წლების განმავლობაში, ლარისთვის და აშშ დოლარისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთები იყო 14.5% და 6.8-9.8%, შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ ჯგუფი/კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფმა/კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის, სალაროს სივრცეების ქირაობის ჩათვლით. ჯგუფი/კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის/კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი/კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის/კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს/კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 *წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში*

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

ჯგუფი/კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ ჯგუფის/კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).*
- *ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).*

23. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 8,925 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიამ მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი კომპანიისგან - შპს „მარსი“-სგან მიიღო 84,357 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, საიდანაც 84,500 ათასი ლარი იქნა გამოცხადებული 2025 წლის განმავლობაში, ხოლო 3,500 ათასი ლარის ოდენობით დარჩენილი ნაწილი შეადგენს დაუფარავ მოთხოვნას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(b) სესხები და კრედიტები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიამ დაფარა 59,500 ათასი ლარის ოდენობით სესხის ძირი თანხა (იხილეთ შენიშვნები 12 და 17).

(c) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2024 წელს, საქართველოს პარლამენტმა აზარტული თამაშების რეგულაციაში ცვლილებები დაამტკიცა, რაც გადასახადების გაზრდას გულისხმობდა. საგადასახადო ცვლილებები ძალაში 2025 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული, მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) გადასახადის 5%-იანი ზრდა (GGR გადასახადის არსებული 15% -იდან 20%-მდე ზრდა).

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N251202519**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**09.09.2025 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლანა მაჭავარიანი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**(+995) 595 10 16 08**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**43425347145125**

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი:01008047830) დამოწმდა მისი ხელმოწერის ნამდვილობა დოკუმენტის - შპს "ენთეინ ჯორჯია" 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე
თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.
მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 123 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 369.00 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 66 ლარი და 42 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 39-ე მუხლისა).

საქართველოს ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი


სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

შეკერილია და დანომრილია

2 ფურცელად

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი



შპს “ენთეინ ჯორჯია“

2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

სარჩევი

1. ჯგუფის შესახებ 3

1.1 ორგანიზაცია 3

1.2 ორგანიზაციული სტრუქტურა 3

2. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა 3

2.1 ჯგუფის ბიზნეს-პროფილი და ბაზრის მიმოხილვა 3

2.2 ჯგუფის განვითარება 4

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები 4

3.1 ნებართვები და ლიცენზიები 4

3.2 გადასახადები 4

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5

4.1 საბალანსო უწყისი 5

4.2 მოგება-ზარალის უწყისი 5

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები 6

5. ჯგუფის ძირითადი რისკები 6

6. სამომავლო გეგმები და მიზნები 8

1. ჯგუფის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

ჯგუფის მშობელ კომპანიას წარმოადგენს შპს „ენთეინ ჯორჯია“ (**ს/კ:** 405435596), რომელიც, „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“, დაარსდა, 2021 წლის 8 თებერვალს.

ჯგუფის სტრუქტურის ქვეშ არსებულ მეორე კომპანიას წარმოადგენს შპს „მარსი“ **(ს/კ:** 405099058), რომლის 100%-იანი წილი, 2021 წლის 5 ოქტომბერს, შპს „ენთეინ ჯორჯიამ“, გრძელვადიანი შიდა ჯგუფის სესხით, შეიძინა Bwin Holdings (Malta) Limited-ისგან.

1.2 ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფის მშობელ კომპანია არის მისი 100%-იანი წილის მფლობელი - Bwin Holdings (Malta) Limited, ხოლო - საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს - „Entain PLC“ (ყოფილი: GVC Holdings PLC) - მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, აზარტული თამაშების ბაზარსა და სამომხმარებლო სექტორზე მოოპერირე ჰოლდინგი.

მესაკუთრე	შვილობილი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2021
Bwin Holdings (Malta) Limited	შპს „მარსი“	100%	100%

2. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა

2.1 ჯგუფის ბიზნეს-პროფილი და ბაზრის მიმოხილვა

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობა (შპს „მარსი“) და მიწოდება (შპს „ენთეინ ჯორჯია“).

შპს „მარსი“, რომელიც ბაზარზე ოპერირებს ვებ გვერდის - www.crystalbet.com–ის საშუალებით, მომხმარებლებს სთავაზობს ბაზარზე არსებული პროდუქტების ფართო ასორტიმენტს, ონლაინ სპორტის, სამორინესა და P2P მიმართულებებით.

თავის მხრივ, შპს „ენთეინ ჯორჯია“ შემოსავლების სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობის ფარგლებში (#19-02/06), ახორციელებს ონლაინ სათამაშო პროდუქტების მიწოდებას (2024 წლის განმავლობაში, აღნიშნული ძირითადად (შემოსავლების 97.7%) მოიცავდა მხოლოდ შპს „მარსთან“ არსებულ სავაჭრო ურთიერთობებს).

გარდა ზემოთ ხსენებული, ჯგუფი ასევე წარმოდგენილი სათამაშო ინდუსტრიის საცალო სექტორში. კერძოდ, ფლობს:

- მიწის სამორინეს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, და
- მიწის ტოტალიზატორს - ქალაქ ბორჯომში.

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ბაზარი საქართველოში ხასიათდება დიდი და მზარდი კონკურენციით.

2.2 ჯგუფის განვითარება

ბიზნეს პროფილისა და ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, ჯგუფისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- მომხმარებლებისათვის არსებულ პროდუქტებსა და სერვისებზე უწყვეტ რეჟიმში ხელმისაწვდომობა და მისი შემდგომი გაუმჯობესება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების გაფართოება;
- არსებული პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესება/გამრავალფეროვნება.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას ჯგუფის მენეჯმენტი და რომელთა მინიმიზაციაც წარმოდგენს მისსავე ვალდებულებას. ჯგუფის წინაშე არსებული რისკების ანალიზისათვის, იხ. პუნქტი 5 – „ჯგუფის ძირითადი რისკები“.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

ჯგუფის სტრუქტურაში შემავალ ორივე კომპანიას მოპოვებული აქვს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა საჭირო ლიცენზია, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და მიწოდების მიმართულებებით.

3.2 გადასახადები

ჯგუფი წარმოადგენს ყველა იმ გადასახადის გადამხდელს, რაც მას ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, ოპერაციების ტიპებისა და შედარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოსაყოფია შემდეგი:

- ✓ <u>მოგების გადასახადი</u>
  - 15%-იანი განაკვეთით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, რომელიც, ექვემდებარება **ე.წ.** ესტონური მოდელის მიხედვით დაბეგვრას.

- ✓ <u>მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმი</u>

  დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი:
  - ტოტალიზატორის ფარგლებში მიღებული ფსონები. განაკვეთი შეადგენს აღნიშნული ფსონების 7%-ს;
  - სამორინეს თამაშობების ფარგლებში - GGR (მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, განაკვეთი: 15%).

- ✓ <u>დღგ / უკუდაბეგვრის დღგ (18%)</u>
  - გაწეული/მიღებული მომსახურებების ჭრილში.

- ✓ <u>საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთი)</u>

  დასაბეგრი ოპერაციები:
  - თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები;
  - ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი;
  - წამახალისებელი გათამაშებებისა და სხვა ტიპის პრომო აქტივობების ფარგლებში, მომხმარებლებზე გაცემული პრიზები (ნაწილობრივ).

- ✓ <u>არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი</u>
  - ➢ კონტრაგენტების წარმომავლობის გათვალისწინებით, შესაბამისი ოპერაციები იბეგრება 0%, 5%, 10% ან 15%-იანი განაკვეთით.

ზემოთ მოცემული ყოველი ტიპის გადასახადის დარიცხვა / დაკავება / ბიუჯეტის სასარგებლოს გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შენიშვნა: 4.1 და 4.2 პუნქტებში წარმოდგენილი კომპონენტები არის ძირითადი და არა ყოვლისმომცველი. ჯგუფის 2024 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, მოცემულია 2024 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

4.1 საბალანსო უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები	4.1.1	9,622	5,522
მოკლევადიანი აქტივები	4.1.1	53,466	49,586
განთავსებული კაპიტალი		299	299
გაუნაწილებელი მოგება		365,019	236,264
გრძელვადიანი ვალდებულებები		899	1,061
მოკლევადიანი ვალდებულებები	4.1.2	395,272	515,885

4.1.1. ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, 31.12.2024 მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი აქტივების უდიდეს ნაწილს (61.42%) წარმოადგენს ფული და ფულადი ექვივალენტები (31.12.2023 – 48.45%).

4.1.2. ვალდებულებების კუთხით გამოსაყოფია:

- ➢ გრძელვადიანი შიდა ჯგუფური სესხი (მიზნობრიობა: შპს „ენთეინ ჯორჯიას“ მიერ შპს „მარსის“ 100%-იანი წილის შესყიდვა);
- ➢ <u>ვალდებულებები კლიენტების მიმართ:</u> რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება, აუცილებელი გახდეს ნებისმიერ დროს და რისთვისაც ჯგუფი იყენებს ზემოთ ხსენებულ ფულად სახსრებს. უფრო დეტალურად, კომპანიის ლიკვიდურობასა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ პუნქტი 5.

- ➢ <u>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:</u> ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა ხდება ხელშეკრულებით პირობების შესაბამისად, და განსაზღვრულ ვადებში, თუმცა არა უგვიანეს ვალდებულების წარმოშობიდან 6 თვისა.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4.2.1	504,511	448,597
საოპერაციო ხარჯები	4.2.2	(268,731)	(217,403)
თანამშრომელთა სარგებელი		(29,324)	(25,588)
საოპერაციო მოგება		203,575	200,699

ნეტო საფინანსო შემოსავალი / (ხარჯი)		**(47,248)**	**(60,630)**
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**152,130**	**134,164**

4.2.1 ჯგუფის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს შპს „მარსის“ ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად.

4.2.2. საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

საოპერაციო ხარჯის ტიპი	**2024 (%)**	**2023 (%)**
თამაშების პროვაიდერების ხარჯები	21.90%	27.84%
კაზინოს მოგების გადასახადი (სპეციალური რეჟიმი)	28.50%	19.49%
ტოტალიზატორის მოგების გადასახადი (სპეციალური რეჟიმი)	16.43%	17.91%
საკომისიოები და საბანკო ხარჯები	17.97%	18.96%
სარეკლამო და მარკეტინგული დანახარჯები	9.50%	10.65%
სხვა საოპერაციო ხარჯები	5.70%	5.15%

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

<u>თანამშრომელთა კეთილდღეობა</u>
ჯგუფი მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით.

<u>სავაჭრო ურთიერთობები</u>
ჯგუფისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. ჯგუფის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე კონტრაგენტებთან, რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და ჯგუფის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

5. ჯგუფის ძირითადი რისკები

ჯგუფის მენეჯმენტი, ოპერაციების სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რომელსაც აქვს რისკების მართვის პროცედურების იმპლემენტაციისა და მისი შემდგომი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, აცნობიერებს ჯგუფის წინაშე არსებულ რელევანტურ რისკებს, და ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციას.

ჯგუფის წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

- **საკრედიტო რისკი**

  გამომდინარე ჯგუფის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

  აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, ჯგუფი ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

- **ლიკვიდურობის რისკი**

  ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა ჯეროვნად შეასრულონ მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

  აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

- **სავალუტო რისკი**

  ჯგუფი სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება ჯგფუში შემავალი კომპანიების ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია ჯგუფის აქტივები/ვალდებულებები, წარმოადგენს აშშ დოლარი (USD) და ევრო (EUR).

  იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულამდე შემცირება, თუმცა მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს მისი მისაღებ დონემდე მინიმიზაცია.

IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ონლაინ სათამაშო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

მენეჯმენტი, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით.

განხილულ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შპს „ენთეინ ჯორჯიას“ 2024 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

ჯგუფის, როგორც ქართულ სათამაშო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, უმთავრეს სამომავლო მიზანს წარმოადგენს არსებული წამყვანი პოზიციის შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება.

სამომავლო საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მომხმარებლებისთვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება;
- არსებული პროდუქტების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- მომხმარებლთათვის სათამაშო პლატფორმაზე ფულადი სახსრების მოძრაობის დამატებითი არხების შეთავაზება.

სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2024 წლის 1 ივნისიდან, საქართველოს კანონში „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- არსებული სალიცენზიო წესების (რომელიც კომპანიისგან სამორინეს ფლობას მოითხოვს) ალტერნატიული ვარიანტის სახით, ახალი კანონმდებლობა აძლევს კომპანიას შესაძლებლობას სამორინესთვის ლიცენზიის ფლობის გარეშე ჩაატაროს კაზინოს თამაშები სისტემურ-ელექტრონული ფორმით. თუმცა, ამ შემთხვევაში, სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 5,000 ათასი ლარით განისაზღვრება, დამატებითი კვარტალური გადასახადის გადახდის აუცილებლობის გარეშე. კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ ლიცენზიას სამორინესთვის, კაზინოს თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩატარების სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 100 ათასი ლარით განისაზღვრება.
- კომპანიებისთვის, რომლებიც არ ფლობენ სამორინეს, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სლოტ აპარატების თამაშობების ორგანიზების წლიური სალიცენზიო მოსაკრებელი 1,000 ათასი ლარით განისაზღვრა (დამატებითი კვარტალური გადასახადის გადახდის აუცილებლობის გარეშე). კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ სამორინეს, სალიცენზიო მოსაკრებელი წლიური 100 ათასი ლარით განისაზღვრა.
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების წლიური სალიცენზიო მოსაკრებელი 100 ათასი ლარით განისაზღვრა;

2024 წლის 1 ივნისიდან, საქართველოს კანონში „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ შევიდა შემდეგი ცვლილება: აზარტული თამაშების ბიზნესის სისტემურ-ელექტრონული მოსაკრებლები სამ კატეგორიად გაიყოფა: კაზინოს თამაშები, სლოტ აპარატების თამაშები და ტოტალიზატორი (სპორტული ფსონები). საიდანაც ჯგუფი კვარტალურად გადაიხდის 250 ათას ლარს მხოლოდ კაზინოს თამაშებისთვის და სპორტული ფსონების (ტოტალიზატორის) საქმიანობისთვის - რადგან მას არ აქვს სლოტ აპარატები.

2024 წელს, საქართველოს პარლამენტმა აზარტული თამაშების რეგულაციაში ცვლილება დაამტკიცა, რაც გადასახადების გაზრდასა და სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების ცვლილებას გულისხმობდა. საგადასახადო ცვლილებები ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული, მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) გადასახადის 5%-იანი ზრდა (GGR გადასახადის არსებული 15% -იდან 20%-მდე ზრდა);

ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოაღნიშნული ცვლილება არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიასა და მის საქმიანობაზე.

_____

ჯაბა პეიტრიშვილი
დირექტორი

თარიღი: 31 მაისი, 2025

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული, მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) გადასახადის 5%-იანი ზრდა (GGR გადასახადის არსებული 15% -იდან 20%-მდე ზრდა);

ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოაღნიშნული ცვლილება არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიასა და მის საქმიანობაზე.

ჯაბა პეიტრიშვილი
დირექტორი

თარიღი: 31 მაისი, 2025

შპს „ენთეინ ჯორჯია“

2024 წლის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ 3

1.1 ორგანიზაცია 3

1.2 ორგანიზაციული სტრუქტურა 3

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა 3

2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები 3

2.2 კომპანიის განვითარება 3

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები 3

3.1 ნებართვები და ლიცენზიები 3

3.2 სხვა გადასახადები 4

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 4

4.1 საბალანსო უწყისი 4

4.2 მოგება-ზარალის უწყისი 5

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები 5

5. კომპანიის ძირითადი რისკები 5

6. სამომავლო გეგმები და მიზნები 6

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს „ენთეინ ჯორჯია“ - **ს/ნ:** 405435596 (შემდგომში **„კომპანია“)**, „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად, დაარსებულია 2021 წლის 8 თებერვალს, მისი რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ., #19, ბინა 48.

1.2 ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის საკონტროლო პაკეტის (100%) მფლობელია „Bwin Holdings (Malta) Limited“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარესაც წარმოადგენს „Entain PLC“ (ყოფილი: GVC Holdings PLC) - მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, აზარტული თამაშების ბაზარსა და სამომხმარებლო სექტორზე მოოპერირე „ჯგუფი“.

მესაკუთრე	შვილობილი კომპანია	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
Bwin Holdings (Malta) Limited	შპს „მარსი“	100%	100%

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები

შპს „ენთეინ ჯორჯია“ წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის მიერ ლიცენზირებულ (ლიცენზიის #: 19-02/06), აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებელ კომპანიას, რომელიც, 2024 წლის მდგომარეობით, ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე - კერძოდ, ახდენდა სათამაშო პროდუქტების არა-რეზიდენტი მომწოდებლებისგან მიღებას, და მათ შემდგომ მიწოდებას შვილობილი კომპანიისათვის (შპს „მარსი“).

2.2 კომპანიის განვითარება

ორგანიზაციული არსებული სტრუქტურიდან გამომდინარე, კომპანიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სათამაშო პროდუქტების პორტფელის ზრდა, რაც ეტაპობრივად, წარმატებით ხორციელდებოდა 2024 წლის განმავლობაში.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება გულისხმობს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის საფუძველზე თამაშობის ორგანიზატორისთვის ან/და საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ პირისთვის არსებითი პროდუქციის/მომსახურების პირდაპირი ფორმით ან/და არაპირდაპირი ფორმით მიწოდებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ენთეინ ჯორჯიას“ მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია.

3.2 სხვა გადასახადები

კომპანია წარმოადგენს ყველა იმ გადასახადის გადამხდელს, რაც მას ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, ოპერაციების ტიპებისა და შედარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოსაყოფია შემდეგი:

- ✓ <u>მოგების გადასახადი</u>
  - ➢ 15%-იანი განაკვეთით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, რომელიც, ექვემდებარება **ე.წ.** ესტონური მოდელის მიხედვით დაბეგვრას.

- ✓ <u>დღგ / უკუდაბეგვრის დღგ (18%)</u>
  - ➢ არარეზიდენტი კომპანიებისგან მიღებული, და საქართველოს ბაზარზე ოპერატორ(ებ)ისათვის მიწოდებული პროდუქტების ჭრილში.

- ✓ <u>საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთი)</u>
  დასაბეგრი ოპერაციები:
  - ➢ კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები;
  - ➢ ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი;

- ✓ <u>არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი</u>
  - ➢ კომპანიის კონტრაგენტების წარმომავლობის გათვალისწინებით, შესაბამისი ოპერაციები იბეგრება 0%, 5%, 10% ან 15%-იანი განაკვეთით.

ზემოთ მოცემული ყოველი ტიპის გადასახადის დარიცხვა / დაკავება / ბიუჯეტის სასარგებლოს გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შენიშვნა: წარმოდგენილი კომპონენტები არის ძირითადი და არა ყოვლისმომცველი. სრული ფინანსური მონაცემები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია 2024 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

4.1 საბალანსო უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები	4.1.1	698,433	698,443
მოკლევადიანი აქტივები		8,938	4,581
განთავსებული კაპიტალი		299	299
გაუნაწილებელი მოგება		341,530	207,140
მოკლევადიანი ვალდებულებები		365,542	495,585

4.1.1. არსებული ოპერაციების სპეციფიკიდან და ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე, 31.12.2024 მდგომარეობით, კომპანიის აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში, რომელიც, თავის მხრივ, დაფინანსებულია გრძელვადიანი შიდა ჯგუფური სესხით.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი	9,064	8,064
შემოსავალი დივიდენდებიდან	212,000	242,008
საოპერაციო ხარჯები	(9,115)	(8,057)
თანამშრომელთა სარგებელი	(675)	(850)
საოპერაციო მოგება	**211,265**	**238,545**
ფინანსური ხარჯები/შემოსავლები	(49,375)	(65,072)
მოგება დაბეგვრამდე	**161,890**	**173,473**
მოგების გადასახადი	(4,125)	(5,894)
სუფთა მოგება	**157,765**	**167,579**

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

<u>თანამშრომელთა კეთილდღეობა</u>

კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით.

<u>სავაჭრო ურთიერთობები</u>

კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე კონტრაგენტებთან, რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

5. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია რისკების მართვის ეფექტური პროცედურების იმპლემენტაციასა და მათ შემდგომ ზედამხედველობაზე. არსებული ოპერაციებიდან და კომპანიის სტრუქტურიდან გამომდინარე, გამოსაყოფია შემდეგი ტიპის რისკები:

- **საკრედიტო რისკი**
  აღნიშნული გულისხმობს რისკს, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს. რისკის მინიმიზაციის მიზნით, კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში.

- **სავალუტო რისკი**

  ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტას, რომელშიც დენომინირებულია კომპანიის ვალდებულებები, წარმოადგენს ევრო (EUR).

  იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულამდე შემცირება, თუმცა მენეჯმენტი, სავალუტო ოპერაციების მართვისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, ახერხებს აღნიშნული რისკის მინიმიზაციას.

  კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური და სხვა ტიპის რისკებისა, და მათი მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2024 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

კომპანიის სამომავლო საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- სათამაშო პროდუქტების პორტფელის გაზრდა;
- ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე ახალი კლიენტების მოძიება.

_____

ჯაბა პეიტრიშვილი
დირექტორი

თარიღი: 31 მაისი 2025

- **სავალუტო რისკი**

  ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტას, რომელშიც დენომინირებულია კომპანიის ვალდებულებები, წარმოადგენს ევრო (EUR).

  იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულამდე შემცირება, თუმცა მენეჯმენტი, სავალუტო ოპერაციების მართვისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, ახერხებს აღნიშნული რისკის მინიმიზაციას.

  კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური და სხვა ტიპის რისკებისა, და მათი მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2024 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

კომპანიის სამომავლო საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- სათამაშო პროდუქტების პორტფელის გაზრდა;
- ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე ახალი კლიენტების მოძიება.

ჯაბა პეიტრიშვილი
დირექტორი

თარიღი: 31 მაისი 2025